წელიწადი მესამე 1913

ორშაბათი, 8 ივლისი № 131

# თემი

ორშაბათი 8 ივლისი № 131

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები, რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხ. ლის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

1 ივლისიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. „თემი“ წელიწადი მესამე.

ღირს 1 მან. 25 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოადგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს“ და 2) კ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს.

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе.

„თემის“ რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი“

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.

SANITAS

Adresse télégraphique

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ Санитасъ Тифлисъ

ფამსვლელთათვის

ღრუბლები, სარტყლები, ლიუფის ხელთათმანები, ჩუსტები, მცურავი საპონი, საშინაო პატარა აფთიაქები, სავარცხლები, შხოთქები და სხვა სატუალეტო ხაგნები.

ფოტოგრაფ. აპარატები და მათი მოწყობილება.

ყოველგვარი საპონი, ლილა, სახამებელი საცვლების გასარეცხად.

საშუალება ბუზების და სხვა მწერების წინააღმდეგ.

ფეხსაცმლის გასაწმენდი ლაქები, ვაქსა ❦ საცხებელი დამსხვრეულ ნივთების შემაკოწიწებელი სინდეტიკონი და სეკკოტინი.

საშუალება „მოსკიტოლი“ კოღოების წინააღმდეგ

„სოლოლაკი“

ვაჭრობა სააფთიაქო, პარფიუმერიულ, კოსმეტიკურ, საგალანტერიო, კაუჩუკის და სხვა საგნებითა·

სოლოლაკის ქუჩა,

1-ელ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ახალი სახლი.

გამოვიდა და იყიდება წ. კ. საზ. მაღაზიაში

ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო-კრებული

ვეირგვინი.

ფასი ერთი მანეთი.

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, გ. წერეთელისა.
3. ოიდიპის მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 9 ივლისს, გაიმართება

✠ კონცერტი ✠

ლეიპციგის კონსერვატორიის ლაურეატის, ლისტის სახელობის ჯილდოთი დასაჩუქრებულის

ბერტა ბურშტეინისა

დაუკრავს ლისტის ნაწარმოებთ მ. ი. ზელიონის ლოტბარობით. დაწვრილებით აფიშებში. თეატრში შესასვლელი ფასი 1 მ. 20 კ.—25 კაპეიკამდე. სტუმრები კლუბში შესვლისათვის იხდიან: კაცები:—50 კ. ქალები და სტუდენტები—25 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საგზაოდ და სპორტისათვის

ტანსაცმელი, ტუყურკები

სამტვერეები

გეტრები

ბინტები

პრაგები

ძმ. ალუვანგეები.

ახალი კლუბი

საზაფხულო სადგომი

ორშაბათს 8 ივლისს 1913 წ.

ჩვეულებრივი

საოჯახო საღამო

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ამ წლის 1-ლ აგვისტოდან

ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი

ქართლი

გაზეთი დაიბეჭდება ყოველ-დღე კვირა-უქმეთა მომდევნო დღეების გარდა. ფასი გაზეთისა: 1 წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლში“ დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი“ (მემუარები) ოლღა ბატონიშვილისა (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა.

რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე-ცინცაძე.

გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: ქ. გორი, ი. ცინცაძეს.

ამ მოკლე ხანში გამოვა

იუმორისტული სურათებიანი ალმანახი

„მათრახი“

თანამშრომლებს ვთხოვთ გამოგზავნონ მასალა შემდეგი მისამართით: Тифлисъ. Типографія „Сорапань“ для „Матрахи“.

ახალი კლუბი

საზაფხულო სადგომი

ოთხშაბათს, 10 ივლისს, და პარასკევს 12 ივლისს გაიმართება

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

სინემატოგრაფის საშუალებით აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

## ომი ბალკანეთზე.

თუმცა რუმინიას ჯერ არ გამოუცხადებია ომი ბულგარეთისთვის, მაგრამ მისი ჯარი უკვე შევიდა ბულგარეთში. ბულგარები მეტად ფრთხილად იქცევიან და სცდილობენ აიცილონ ბრძოლა რუმინიასთან. საშიშიც არის ბულგარეთისთვის რუმინელებთან ომი, რადგანაც უკვე სამი მტერი ჰყავს—სერბია, საბერძნეთი და შავგორეთი.

ბულგარეთთან ომის მოსპობა სერბიას და საბერძნეთს ფიქრადაც არ მოსდით. ამბობენ, რუსეთმა მიმართა ამ ორ სახელმწიფოთ და შეუთვალა, თუ კი მოისურვებთ, ვეცდები ბულგარელებთან მოგარიგოთო, მაგრამ სერბიამა და საბერძნეთმა ამ შუამავლობაზე უარი განაცხადეს.

დიდ სახელმწიფოთ ჯერ არ მიაჩნიათ ოფიციალურად გამოცხადებული ომი ბულგარეთსა და რუმინიას შორის, რადგანაც თუმცა რუმინიის ჯარი შევიდა ბულგარეთში, მაგრამ ბულგარელთ არაფითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათო.

გუშინ ტელეგრაფმა ამბავი მოიტანა, რომ ბულგარეთისა და რუმინიის ჯარებს შორის ბრძოლა ასტყდაო. თუ ეს მართალია, ომი უკვე გამოცხადებულად უნდა ჩაითვალოს.

ამ გვარად ბალკანეთზე საქმე თანდათან მწვავდება.

ოსმალეთი თანდათან გაათამამა მოკავშირეთა შორის ატეხილმა ბრძოლამ. ოსმალეთის ჯარმა უკვე დაიკავა მიდია, სარაი, კარაში, თირანი, ხეილლერი და სხვა ადგილები.

დიდ სახელმწიფოთა გარდაწყვეტილების ძალით ოსმალეთს უფლება არა აქვს ენოს მიდიის გადასცდეს და ამიტომ თვისი ჯარი გააჩერა ამ საზღვარზე. თუ ამ საზღვარს გადასცდა ოსმალეთის ჯარი, რუსეთი ემუქრება თურმე—იმ წამსვე სომხეთის პროვინციებს ჩვენ დავიკავებთო.

მთელი ევროპა ამ ჟამად დაინტერესებულია შემდეგით: გაუბედავს ურჩობას რუსეთს ოსმალეთი თუ ვერა. და თუ გაუბედა, შეასრულებს თუ არა რუსეთი თავის მუქარას.

და თუ ეს მუქარა შეასრულა რუსეთმა და სომხეთი წაართვა, არ გვგონია, რომ ასეთს საქციელს გულ გრილად უყურონ ავსტრო-უნგრეთმა და გერმანიამ ..

გუშინ პეტერბურგიდგან მოსულმა დეპეშამ შეგვატყობინა უფრო ცხელ-ცხელი ამბავი: ავსტრიას განუცხადებია—ბულგარეთის განადგურებას გულგრილად ვერ ვუყურებ და ამიტომ ბალკანეთის საქმეებში უნდა ჩავერიოვო.

## ნოქართა სიეზდი.

29 ივნისს მოსკოვში გახსნილ ნოქართა საზოგადოების წარმომადგენელთა მე IV სიეზდი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით უკვე დაიხურა.

ამ სიეზდს დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას აძლევდა მთელი პრესა და მის მუშაობის დაწყებას გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს.

და მართლაც, მას მუშაობის დასრულება რომ დასცლოდა, მისი მნიშვნელობა მეტად დიდი და საყურადღებო იქნებოდა.

სიეზდის პროგრამის მუხლები ასეთი იყო. 1. სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ნორმალური დასვენება. 2. დაქირავების პირობები. 3. სამუშაო დღე. 4. ნოქართა სახელმწიფო დაზღვევა. 5. სავაჭრო დაწესებულებათა დაქვემდებარება საფაბრიკო ინსპექტორისადმი. 6 სანიტარული მეთვალყურეობა 7. კომერციული განათლება და სხვ.

არც ერთი მუხლი პროგრამაში შეტანილი განყენებულ საკითხს არ ეხება. ყველა ესენი ცხოვრების მიერ ნაკარნახებია და ვფიქრობდით, სიეზდი შესაფერ პასუხს გასცემდა წამოყენებულ საჭირბოროტო კითხვებს.

მაგრამ მინისტრის განკარგულებით ეს კითხვები ისევ კითხვებად დარჩა და მომწიფებული საკითხი ნოქართა ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელი.

პირველ კრებაზედვე სჩანდა, თუ რა დღე მოელოდა სიეზდს. როდესაც მილოცვები დაიწყეს, ბოქაულმა შეაჩერა დეპუტატი მალინოვსკი, რომელიც უნდა მისალმებოდა ს. დ. ფრაქციის სახელით.

მანვე პირველი კრება დახურულად გამოაცხადა იმ მოსაზრებით, რომ სიეზდი მუშაობას არ იწყებს და მხოლოდ წამდაუწუმ იმეორებს: „ს. დ—ი“, „პროლეტარიატი“ „ორგანიზაცია“ და სხვაო.

ბევრს იმედი ჰქონდა, რომ სიეზდი გადურჩებოდა დევნას და მუშაობას დაამთავრებდა.

მაგრამ ეს მოლოდინი რუსეთის სინამდვილემ არ გაამართლა.

## ახალი ამბები.

ქ. კავკავიდგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო შოთა რუსთაველის ძეგლისათვის 7 მანეთი ბ. ისიდორე დავითაშვილისაგან.

—

ბათუმის რუსულ გაზეთს დეპეშითა სწერენ პეტერბურგიდან, რომ აფიცერს მღებრიშვილს, რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა ციმბირში გადასახლება რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, დანაშაული ეპატიება და სასჯელიდგან სრულიად იქნება განთავისუფლებულიო.

—

მოგვივიდა სოხუმის სახალხო წარმოდგენების მართველი დრამატიული წრის 1912 წ. ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ წრეს გაუმართავს სულ ექვსი წარმოდგენა. შემოსავალი ყოფილა 315 მ. 40 კ. ხარჯი—333 მ. 15 კ. დეფიციტი—17 მ. 75 კ.

—

შაბათს გაემგზავრა ლეჩხუმისაკენ „თემის“ რედაქტორი გრ. დიასამიძე. მისამართი: Чребало (Лечхумъ).

—

ქუთაისში გამოვიდა ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „თანამედროვე ქვეყანა“.

—

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ამა წლის ივლისში ქართული სამეურნეო საზოგადოება მართავს ქ. თბილისში კოოპერატიულ კურსებს შემდეგის პროგრამით:

1. კოოპერაციის განვითარება, 4 საათი (ქართულად) ლექტორი სვ. რ. ვახვახიშვილი. 2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8—12 საათი (რუსულად). ლექტორი ა. ევდოკიმოვი. 3. წვრილი კრედიტის დაწესებულებანი, 6—7 საათი

(რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი. 4. ანგარიშის და საქმის წარმოება წვრილი კრედიტის კოოპერატ. დაწესებულებებში—12 საათი (ქართულად) ლექტორი. კ. პ. კანდელაკი. და ა მ. კახელაძე. 5. მომხმარებელი საზოგადოებანი 5—6 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი. 6. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში - 4 საათი (ქართულად) ლექტორი ი. გ. ქუთათელაძე. 7. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია —3 საათი (ქართულად) ლექტორი დავ. ვ. ვაჩნაძე.

— —

ხარფუხის მცხოვრებნი ამ სიცხეებში დიდს გაჭირვებაში არიან. წყლის მილი ხარფუხში არ არის. თითო ვედრა წყლის მოტანაში აძლევენ მომტანს 2 კაპეიკს და მომტანს კიდევაც უნდა ეხვეწნენ— დროით მოგვიტანე წყალიო. ხარფუხელებმა მიმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვენ მილით წყლის გამოყვანას.

— —

პეტერბურგის ზოგიერთ ქარხანაში 1 ივლისს სამუშაოდ მოსულმა მუშებმა მიტინგი გაჰმართეს მუშათა პრესის დევნის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად.

მალცერის ქარხნიდან მუშები გამოვიდნენ ქუჩაში სარევოლიუციო სიმღერებით.

პუტილოვის ქარხანაში გაიფიცნენ სულ 2,000 კაცი.

— —

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ს. დ. ერთ ჯგუფს აზრათა აქვს განიხილოს საკითხი მოკლე ხანში მომხდარ გაფიცვისა. მათი აზრით ეს გაფიცვები უარყოფითი ხასიათისაა, რადგანაც უძლურებს მუშათა ძალას და დეზორგანიზაცია შეაქვს მათში.

— —

ერთს სააქციონერო კომპანიას გადუწყვეტია შემოდგომიდან მოაწყოს დირიჟაბლებით მიმოსვლა ჰაერში პარიზიდან ლონდონში.

თითო ბილეთი ეღირება 95 მ. პირველი დირიჟაბლი საშობაოთ დაიწყებს მიმოსვლას.

— —

გურიაში, სად. ნიგოეთის ირგვლივ მდებარეობს სახნავ-სათესი დიდი მამული. ეს მამული ეკუთვნოდა თავ. მაჭუტაძეებს, რომელთაგანაც მამული სახემწიფო ბანკს დარჩა. ამ მამულში თითქმის მარტო სიმინდი მოყავდათ. უმთავრესათ აქაურ მიწებს საყანეთ იღებდენ: ნიგოითლები, აკეთლები, აცანლები და გარდა ამ სამი მახლობელი საზოგადოებისა, ამავე მიწით სარგებლობდენ გურიის სხვა სოფლების. უმიწო გლეხები, რომელიც 20—30 ვერსიდან მოდიოდა და აქ საყანე მიწას იღებდა. ამ სამი წლის წინათ ბანკიდან მამული იჯარით აიღო შუხუთის წვრილი კრედიტის ამხანაგობამ და ერთ წელიწადს თვით ამხ. აწარმოებდა, წელს ამხ. მამულის მოვლა კერძო პირებს გადასცა და თვით ითხოვა განთავისუფლება საიჯარო პირობისაგან. როგორც სარწმუნო პ-რმა გადმოქვცა, მაჭუტაძისებულ მამულს სახემწიფო ბანკისაგან ყიდულობს თურმე ვინმე რუსი, რომელსაც სურს აქ მოაწყოს სიმინდის წარმოების საქმე და ააგოს სიმინდისაგან არაყის სახდელი ქარხანა. ამ რიგათ შუხუთის საკრედიტო ამხ. საიჯარო ხელშეკრულობისაგან კი განთავისუფლდება, მაგრამ უსიმინდოთ დარჩენილ გურიის გლეხობას რა ეშველება, ეს სხვა საკითხია. („სას. გაზ.“)

— —

ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის და მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება დასრულდა. კრებამ სხვა საკითხებთა შორის განიხილა საკოოპერაციო საკუთარი ჟურნალის საკითხი და დაადგინა, რომ ცალკე ჟურნალი არ გამოსცეს, არამედ ხელი შეუწყოს „სასოფლო გაზეთის“ გავრცელებას და სთხოვოს ამ ჟურნალის რედაქციას, რათა მან კოოპერატივებს მეტი ადგილი დაუთმოს.

— —

უცხო კაპიტალისტებისაგან შესდგა ამხანაგობა, რომელმაც იჯარით აიღო ერევნის გუბერნიაში 10,000 დესეტინა მამული. ეს დიდი მამული სახელმწიფოა, მაგრამ გრძელ ვადიან იჯარით აღებული ჰქონდა ღენერალ შერემეტევს, რომლის მემკვიდრეებმა თავისი უფლება გადასცეს უცხოელებს. მამულის დასამუშავებელ თანხათ 5 მილიონი ფრანკი აქვთ. ამხანაგობის უმთავრესი აქციონერები ფრანგებია. მამულის დამუშავებას საზამთო ადრე შეუდგებიან, რისთვისაც ფიქრობენ სარწყავი არხები გაიყვანონ. გარდა ბამბისა, განზრახვა აქვთ დათესონ საქონლის საკვები ბალახებიც.

— —

ამ დღეებში ქუთაისში ჩამოვიდა მეოთხე სათათბიროს დეპუტატი კ. ჩხეიძე.

— —

მესამე დღეა, რაც ქიათურაში რკინის გზის წარმომადგენელი ბ. ბეგთაბეგოვი იმყოფება; მან მრეწველებსა და მუშებს წინადადება მისცა დაიწყონ ვაგონების ტვირთვა, თორემ რკინის გზა შეადგენს არტელს და ვაგონების ტვირთვას იკისრებსო.

— —

ამ დღეებში ქიათურაში უნდა შემდგარიყო მრეწველებისა და ექსპორტიორების კრება, რომელსაც დაესწრებოდენ მუშების წარმომადგენლებიც. კრების მიზანია მუშებსა და ხაზეინებს შორის თანხმობის ჩამოგდება.

— —

5 ივლისს მოხდა კრება „თეთრის ყვავილის“ სამზრუნველოსი. კრებამ განიხილა შემდეგი:

1. რადგანაც თბილისში ძლიერ ბევრია ავადმყოფი, რომელთაც ესაჭიროებათ ჰაერით წამლობა, ამიტომ ამ საქმისათვის გადადებულ ფულს მიემატოს კიდევ 451 მან., თუმცა სამზრუნველო ამ ჟამად ხელმოკლედ არის.

2. რა გზით მიაწოდონ სახლებში რძე ავადმყოფებს.

3. მზრუნველმა მოახსენა კრებას, რომ ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში („ზაკავკ. რეჩ“, „კურ. კავ“.) დაბეჭდილი იყო, ვითომ „თეთრი ყვავილის“ ამბულატორიაში უწეობა სუფევდეს და კერძოდ ამბულატორიის გამგე ექიმი რ. ლავითიანი უწესოდ განაგებდეს საქმეს.

კრებამ მოისმინა ეს წერილე და დაადგინა შემდეგი: ვინაიდგან ამბულატორიაში სუფევს ყველაფერში ისეთი წესრიგი, რომელიც სრულიად ეთანხმება კავკასიაში ჭლექის საწინაამდეგო საბრძოლველ კომიტეტის მიერ დამტკიცებულ წესებს და თვით ექიმის რ. დავითიანის მოქმედებაც სრულიად ეთანხმება ამ წესებსა, ამიტომ სამზრუნველომ სცნო, რომ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები მოკლებულნი არიან სინამდვილეს და განზრახ ტენდენციურად არის დაწერილებიო.

— —

5 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში „სახალხო გაზეთის“ რედაქციის თაოსნობით ქართველმა სამღვდელოებამ პანაშვიდი გადაიხადა ტრაგიკულად დაღუპულ საზოგადო მოღვაწისა და ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორად ნამყოფ შიო ჩიტაძისა და უდროოდ გარდაცვლილ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვლად. ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად.

— —

თავადს ირაკლი ვაჩნაძეს გამოუგონია წყალში საცურაო აპარატი.

— —

6 ივლისს კომისიამ ბ. გაკკელის მეთაურობით ნავთლუღისა და ლოტკის გორის ის მიწები დაათვალიერა, რომლებზედაც ქალაქის გამგეობ ს განზრახვა აქვს პოლიტეხნიკუმი ააშენოს.

— —

პეტერბურგის სხვა და სხვა ქარხნებში მეტად გახშირდა მუშების გაფიცვა. ზგერში გაფიცვის გამო დაიკეტა ლორენცისა და კრუშეს ბამბის ქარხანა, რომელშიაც მუშაობდა 550 კაც; იქვე მეორე ქარხანაში გაიფიცა 300 კაცი. ლოძში გაიფიცა 1000 მუშა. ნიკოლაევში გაიფიცა 250 ხელოსანი, რომლებიც გემის გასაკეთებელ ქარხანაში მუშაობდნენ. მეორე ამ გვარივე ქარხანაში გაიფიცა 6000 ხელოსანი.

— —

„თემის“ ზოგიერთ მკითხველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ზ. ჭიჭინაძის წიგნები ჩვენს რედაქციაში არ იყიდება. უმჯობესია მიმართოთ თვითონ ზ. ჭიჭინაძეს. რედაქცია ამის შესახებ არავითარ მოწერ-მოწერას არ კისრულობს.

ზ. ჭიჭინაძის მისამართი: თბილისი, მეორე თუმანოვის ქუჩა.

— —

რედაქციამ მიიღო 1. „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის № 12. შინაარსი: 1) კონცერტი-სურათი. 2) მლოცავი თამრო, ლექსი მ. ახოსპირელისა. 3) ძმები ამბავი ილია რუხაძისა. 4) ჩიტი-ბედურა ზღაპარი სტეფ. ძიმისტარაშვილისა (კორტოხა) 5) თედო და გოგი (თარგმანი) გ. ლ-ისა. 6) გასართობი: რებუსები და ალსნა. II. „ჯეჯილი“, № 6. III „ოქროს ვერძი“ № 5. და „სასოფლო გაზეთი“ № 31.

## † ვარლამ ყარამანისძე შავდია.

— —

წარსულ კვირას მეტად დამაღონებელი დეპეშა მიიღო ჟენევიდან „თემის“ რედაქციამ ეს დეპეშა გვატყობინებდა, რომ ბერლინში გარდაცვლილიყო **ვარლამ ყარამანისძე შავდია**.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ვარლამი, არა მგონია, ამ ამბავმა უსაზღვრო მწუხარება არ მიაყენოს მას.

ახალგაზრდა, მხნე, აღფრთოვანებული საქმით, მჭერ-მეტყველი ადამიანის უდროოდ დაკარგვა მართლაც რომ სამწუხაროა.

ვარლამი დაიბადა ღ ხონში 1880 წ. პირველ დაწყებითი სწავლა ხონის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო და შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში გადავიდა.

მეშვიდე კლასის მოწაფე იყო ვარლამი, როდესაც ის ხონში პირველად გამოვიდა საჯაროდ და ტაძარში შეკრებილ ხალხს ურჩევდა დაენებებინა თავი ჩვეულებებისათვის, როგორც არის ქელეხი, საეკლესიო დღესასწაული და სხვა.

ვარლამი გატაცებული მოყვარული იყო სცენის და მისი მეცადინეობით ხონში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები. და დღეს თუ ხონში უკვე არსებობს საზაფხულო თეატრი—ეს ვარლამის შრომის შედეგია.

არც ერთს საზოგადო საქმეს ვარლამი გვერდს არ უვლიდა და ყველგან მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

გიმნაზიის გათავების შემდეგ ვარლამი რუსეთს გაემგზავრა და იქ კი სულ ერთიანად ჩაება საზოგადო საქმეში. 1905 წელს ოდესაში ის თავმჯდომარეობდა მუშათა დეპუტატების საბჭოს ორლოვსკის სახელით.

რეაქციის დადგომის შემდეგ ვარლამი შეიპყრეს და ციმბირში გადაასახლეს, საიდან მალე საზღვარ-გარედ გაიქცა.

საზღვარ გარეთიდან ვარლამი ათავსებდა წერილებს „წყაროში“ და „მერცხალის“ მომდევნო გაზეთებში **შავია-დიას** ფსევდონიმით...

ასე უდროოდ გამოგვაცალა ულმობელმა სიკვდილმა მშრომელ ხალხის მოქირნახულე ადამიანი.

მჯერა, რომ მისი ხსოვნა იარსებებს სანამ იარსებებს იდეა, რომელსაც ის მთლად დაედო.

ი. რ.

## გ უ ლ ი - ზ ღ ვ ა !

— —

მარადისობის წინა ხანებში, ჟამის დასაწყისისას, ცის უსაზღვრო სივრცეში, ლაჟვარდის გამსჭვირვალე სარეცელზე მოულოდნელად გაჩნდა ბამბის ქულასავით თეთრი, პატარა, მსუბუქი ღრუბელი...

ეს პირველი ბუნდოვანი ფიქრი იყო ადამიანის შექმნისა.

ის წინადაც არსებობდა, მაგრამ არარა იყო, უხილავი-ვით დრო.

ის მსოფლიოს ტკბილი სიზმარი იყო; სიზმარი გრძელი, როგორც მარადისობა.

და ეს სიზმარი ზღაპრად იქცა,-ზღაპარი კი ბუნდოვან ფიქრად, რომელიც პატარა თეთრ ღრუბლად გამოინასკვა..

განუსაზღვრელ დროთა სვლაში ეს ღრუბელი ნელ-ნელა გაიზარდა, იცვალა ფერი, დაჰკარგა თავისი წინანდელი სიმსუბუქე და გახრიოკებულ მაღალ მთის მწვერვალებს დაეყრდნო...

ალერსით მიეგება მას მთა... და ამ მათრობელ ალერსმა ის დაშალა, დაადნო, წვეთებად აქცია.

ეს პირველი ცრემლი იყო ახლად შობილისა, ცრემლი სიხარულის, გაუგებრობის.

ნაპრალის ციცაბოდ დაქანებულ ფერდობებს ისინი შემკრთალნი ჩამოყვენ, გზა და გზა ერთმანეთს მიუახლოვდენ, შეერთდენ და ქვემოდ, მთის ძირას, ნაკადულად გადმოეშვენ ველზე.

აჩუხჩუხდა, აჩაკრაკდა ნაკადული და ეს ჩუხჩუხ-რაკრაკი საოცნებო სიმღერად იქცა.

ეს პირველი სიმღერა იყო ახლად შობილისა; სიმღერა ტკბილი, სმენის მატკბობელი, მაგრამ უკვე სევდა ნარევი.

სევდა თან დაჰყვა ახლად აფეთქებულ გულის სიმღერას, სევდა დაკარგვის გამო, პირველი ფიქრის მწუხარებისადმი...

ამაოდ ემუდარებოდენ მზის გაღიმებულ სხივებს პატარა, ნაზი ტალღები ნაკადულისა; ამაოდ ცდილობდენ თან აყოლოდენ მათ მაღლა ზევით და იქ კვლავ არარად გარდაქმნილიყვნენ, მშვენიერ სიზმრად, დაუსრულებელ ზღაპრად.

მზე ღიმილით ანებივრებდა პატარა ტალღებში თავის ბრჭყვიალა სხივებს და მათ მუდარას ოდნავადაც არ აქცევდა ყურადღებას.

გულ-ნატკენი განაგრძობდა გზას ნაკადული და მისი სახე თანდათან იმღვრეოდა.

ნაზ, ტკბილ სიმღერას ეხლა ახალ-ახალი უჩვეულო ხმები ერთოდა და ეს ხმები თანდათან ნთქავდენ წინანდელ სიმღერას...

უკვე მდინარედ ქცეული ის გაბოროტებული, დუდუნ-ბუტბუტით, ხმაურებაქუხილით სცემდა თავის მღვრიე, ღონიერ ტალღებს კლდოვან ნაპირებს.

ეს პირველი საყვედური იყო იმედ-გაცრუებულისა. საყვედური, რომელიც დროთა სვლაში სწრაფად იზრდებოდა და ეს ხმა-ქუხილი არა თუ მარტო მახლობელ მიდამოს ესმოდა, არამედ შორიდან გამომცქერალ მაღალ მთების სმენამდისაც აღწევდა.

სიმღერა ბრძოლის ხმად იქცა; ვედრება—გამომწვევ შეტევად. ეს მქუხარე ხმა შიშის ზარს სცემდა მის შემხუთველ ნაპირებს. გაჯავრებული, ზვირთებ აქაფებული ძალუმად მიექანებოდა ეს მდინარე დაბლობისაკენ და გზა და გზა ყველაფერს ამსხვრევდა-ანადგურებდა.

ბოლოს ის უცებ ვეებერთელა, დაცემულ ველზე გაიშალა და წამით მიყუჩდა...

მაგრამ მალე მთებია ორწოხებში ჩათვლემილ სიომ მსუბუქი ფრთები შეარხია და უცნაური ფერხული გააბა გარინდებულ ზღვის ზედა-პირზე.

და ისიც უმალ შეტორტმანდა, ააგორა ვეება მრისხანე ტალღები და დაუსრულებელი შფოთვა იწყო.

აღელდა ზღვა...

ეს პირველი მძლავრი, გაბრძოლება იყო ხუნდებ გაყრილისა.

ეს სამუდამოდ იმედ-გაცრუებულის გონს მოსვლა იყო.

და აი ამ დღიდან ღელავს და შფოთავს ზღვა-გული ადამიანისა.

ღელავს, შფოთავს და არ მოისვენებს, სანამ თავის პირვანდელ ფიქრს არ მიაღწევს, სანამ ის კვლავ მშვენიერ ზღაპრად არ გარდიქმნება.

ილია რუხაძე.

# შ ე ლ ლ ი დ ა ნ.

## მ ო წ ო დ ე ბ ა.

— —

მეგობარო, ტკბილზე ტკბილო, სანატრელო!
მო, წავიდეთ, სადაც ყვავის ტურფა მდელო!
სიხარულის ფრთებზე მსხდომი, მოკისკასე
დღევანდელ დღეს ედარები შვებით სავსე;
კაეშანს რომ შუბლს აშორებს მომცინარი,
„გაზაფხულდა“ რომ დაკვნესის მისი ქნარი...
გაზაფხულდა—ზეცა შვებით ჩამოგვღიმის,
მიწა ტკბება ყურის მგდები მისი სიმის;
ტუჩს უკოცნის გახარებულს, მომცინარეს,
გულში ეკვრის ზღვის ტალღისკენ მჩქეფ მდინარეს,
თავს ევლება მოდუდუნე მჩქეფ ნაკადულს,
რომ ლუკლუკით დაატკბობდეს სულსა და გულს;
მთათა შორის ნაზათ სუნთქავს პირმცინარე,
მას შეცინის დათოვლილი არე-მარე,
სამაისო სიზმართ გროვის მოციქულსა,
ყვავილთ გუნდი უთესია ქვეყნის გულსა,—
და იცინის ანაფეთქი კიდით კიდე,
კარმიდამოს აცისკროვნებს შვების რიდე
ისე, ვით შენ გულს უხარებ, მოკისკასევ,
ვინც შენ გხედავს და შესცინი გრძნობით სავსევ!..

— —

მო, გავშორდეთ, მტვერით სავსე ცხელ ქალაქსა.
და ვეწვიოთ ყვავილთ გროვას ლურჯ ბალახსა!..
გადავფრინდეთ სხვა ქვეყანას, სად ტყეშლილი
ნამით პირ დანაპკური დგას ატეხილი...
იმ სამეფოს საოცნებოს, სხვა ქვეყანას,
სადაც ზეცა დაწკრიალებს ციურ ნანას,
სად ჩურჩულით მიფარფატებს მინდვრათ ქარი,
სად იშლება სული-გული განახარი:
არ ეშინის ნაზი იყოს, მონარნარე,
სხვას მიეკრას, შეიყვაროს გულის დარე
და იცხოვროს ბუნებასთან განუყრელათ:
მასში დუმდეს, მასში იქცეს შვება-ლხენათ...
მე თუ ვინმე მესტუმრება, მომიკითხავს,
ის კარებზე შემდეგ სიტყვებს წაიკითხავს:
„გამეცალეთ, მასპინძლათ მყავს მინდორ-ველი,
სად ნარნარობს ზურმუხტის ფრათ გარს ყოველი...
მინდა შვებ.ს დავეწაფო, დავემონო,
გაგეთიშოთ, თქვენი ხმაც არ გავიგონო...
გონებავ, შენ კი აქ იჯექ, შენთვის დუმდე,
ამ ბუხართან მოკალათდი, გულცივს გძულდე,
სამეგობროთ გეყოლება სევდა მწველი,
იმეორეთ ის ამბავი ძველის-ძველი—
მე ხომ თავი დაგანებეთ, უარგყავით
და მომშორდით, მიგატოვეთ რთულნი შავით.
შენც, იმედო, არ გამომყვე, ნურც შენ მნახავ,
ტანჯულ გულში სასიამოს ვერ მინახავ...
არ მსურს ამ დროს მომავალზე ზრუნვა, ფიქრი,
აწმყოში ვარ გარინდული, შვებით მივქრი,
სილამაზეს გუნდრუკს უკმევ ხელ აპყრობით,
წამს ვემონე მონა მთვრალი ციურ გრძნობით“!..

— —

უმანკო დავ, გაზაფხულის კისკას დღეთა,
გაილვიძე, მო, წავიდეთ ორივ ტყეთა:
ყურს დაგვიტკბობს ჩიტთა სტვენა, ჟრიამული,
ტყე მოვნახოთ, ტყე უღრანი, დაბურული,
სადაც ფიჭვი ცას აჰრილა ტან-წერწეტა,
სად ძლივს ძალუძს მზის მკვირცხლ სხივსა ჩამოჰვრეტა
და კანკალებს ჩრდილთა გუნდში ძლივს შეჭრილი,
კდემით კოცნის ტოტთა ბადეს ზეცის შვილი.
ამწვანებულ ბუჩქთა ჩრდილში მიდებული.
ყვავილების დაგვიხვდება თაიგული:
ია სალამს მოგვაგებებს ცისფრათ შლილი,
ჩვენ კი წავალთ... ჩვენ გავქრებით ვით აჩრდილი:
მწვანე ველებს გადაკივლით სრიალითა,
ცის ლაჟვარდი შემოგხვდება ცქრიალითა...,
ჩვენ ყველაფერს გავეცლებით, დავ, კვნესამე,
დავიწყდება ციმცამი დღე, ბნელი ღამე...
ნაკადულნი გვეწვევიან ჩუხჩუხ-ჩქეფით,
მდინარეთაც გვასტუმრებენ მწვანე მთებით...
და გაქრება წალკოტ-ველი, არე-მარე,
მიწასა ზღვა ჩაერთვება ზვირთ მქუხარე...
უცხო ფერათ შეიფუთვნის კიდით-კიდე,
მიწის სახეს, გულს ჩაიკრავს ზეცის რიდე...

— —

## ტ ო რ ო ლ ა ს.

1,

უცხო ხმებით მოლაღლღევ,
შენ არა ხარ ჩიტი, არა!
ლაჟვარდ სივრცეს მარდათ. აპობ,
გემონება ცის კამარა,
სიდან ღვთიურ საგალობლით სალამს უძღვნი მიწას მარად...

2.

ცეცხლის ალებრ მოლაპლაპე
ცის გულ-მკერდში მიიჩქარი,
ლაჟვარდოვან სამეფოში
მიკვნესს გრძნობით შენი ქნარი...
მიკვნესს ზეცას ზეცის შვილი... არეს ატკბობს ჰიმნი წყნარი.

3.

ჩამავალ მზის ოქროს ქსელში
დასრიალებს შენი ჩრდილი,
ღრუბელთ გროვის ზღვას მიაპობ
უდარდელი ქვეყნის შვილი...
დაფარფატებ, დაფრთხიალებ, თან ზარს რეკავ ფრთაგაშლილი.

4.

ფერ მიმკრთალი მწუხრის ჟამი
შენს გარშემო კრთის, კანკალებს;
ვით ვარსკვლავი მოკაშკაშე
დღისით მორცხვათ ხუჭავს თვალებს,
ისე ცაში უხილავხარ, თუმც სიმღერით ატკბობ ჭალებს.

5.

მოწკრიალე შენი ჰიმნი
სალამია ვარსკვლავისა:
რა მზე მიწას ესტუმრება,
იმალება გუნდი ცისა,
მიწიერნი ვეღარ ვხედავთ სულ ჩაქრა, თუ იწვის ისა.

6.

ციურ ხმებით მიწა მთვრალი
მიწა ზეცას მიესვენა,
მთვარის შუქი ველს გაეკრა
ვით შაშარი—გველის ენა,
წამით არეს მიეფარა, გადაკოცნა, არგო ლხენა.

7.

ვინა ხარ შენ, ზეციერო,
ეგრე ნაზი, წყნარზე წყნარი?
ცისარტყელას შვენებით სჯობს
სხივის ჩრდილი მომღიმარი
შენის მელოდიის წვიძის, როს მოცვივა ცვარზე ცვარი.

8.

ასეთია მგოსნის ბედიც
დიად აზრთა ტყვეთა ქმნილის,
მისი მღერა შორეული
დამთესია კეთილ წვლილის...
და ქვეყანაც მას ტაშს უკრავს მადლიერი თავის შვილის.

9.

აგრე გვხიბლავს ნაზი კვნესა
ძილის პირათ მთვლემ ქალწულის,—
ტკბილ ჰანგს აპნევს სიჩუმეში
განხატება სიყვარულის;
მიჩუმებულ სამყაროში ის ჰიმნია გაზაფხულის...

10.

ნამით ნაპკურ ტყის გულმკერდში,
როს ძილშია სარეცელი,
თითქოს სხივი შეჭრილიყოს
განეფანტოს ღამე ბნელი
და აენთოს ყვავილებში თვალ წარმტაცი რამ კანდელი.

11.

აგრე სძინავს ვარდს წალკოტში
აკვან ნარწევს სიოს ქშენით.
ვინც ყურს უგდებს ქარის ფარფატს,
დამთვრალია შვება-ლხენით,
სურნელებას ნიავს ატანს მოჩურჩულეს მსუბუქ ენით.

12.

ლაჟვარდ ცაში ქათქათა მზე,
გაზაფხულის კოკორთ კრება,
ზურმუხტოვან წვიმის მღერა
შენს რაკრაკთან სულ ფუჭია... შენს წინაშე ყველა ქრება.

13.

ციურ ხმათა მწყობრათ ბგერის
საიდუმლო ამიხსენი,
ჩიტო, ზეცით მოვლენილო,
სევდით შეგთხოვ მონა შენი
მე ამ გვარის ჰარმონიის აღარა ვარ ქვეყნით მსმენი.

14.

სალამს გვიძღვნის, შემოგვხარის
ჰიმენეის გუნდთა მღერა,
მაგრამ ყველას არათ აქცევს
შენი ქნარის გრძნობით ჟღერა,
შენ ტკბილ ხმითა მეუფე ხარ—გონებას და გულსაც ჯერა.

15.

სად ამოქუხს ამ მომხიბლავ
ხმათა წყარო ზვირთ ცქრიალა?
ტალღათ ჩქეფა დაგჩურჩულებს,
თუ ღრუბელი ცას სრიალა?
იქნებ თვით სიყვარული ხარ? ან ზეცის ხარ ხმა წკრიალა?

16.

ლაღით შენი ხმის რაკრაკი
ირგვლივ აპნევს ალტაცებას,
შვებით ათრობს არემარეს,
ზეცას უძღვნის ქებათ ქებას,
გიყვარს, მაგრამ აღარ იცი, რა სიმწარე მოსდევს ვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი კულტურული საქმიანობა ქუთაისში.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების მოქმედებას დღეს ერთი კულტურული ძალა ემატება. ე' არის **სტამბის გახსნა.** აქაურ განყოფილებ·ს გამგეობა შეუდგა წარსულ წლის საზოგადო კრებაზე გადაწყვეტილ დადგენილების სისრულეში მოყვანას. მან ამ დღეებში უკვე შეუკვეთა: 1. მოსკოვში სავაჭრო ივ. ფლორის ფირმას „აუგსბურგის" ქარხნის ორი საბეჭდავი მანქანა, 2. პეტერბურგში—ლემანის ქარხანას რუსული ასოები თავის მოწყობილობით, 3. ოდესაში—ბელინკინის ქარხანას სტამბისათვის ხის ავეჯეულობა: კასები, რეალები, ქართულ-რუსული ხის ასოები და სხ. 4. თბილისში—მაღერის ქართული ასოები.

გამგეობამ კარგა ხნის ცნობების შეკრების, მათი ბევრნაირათ შემოწმების და აწონ-დაწონვის შემდეგ მიიღო და დაამტკიცა სტამბის სმეტა 15000 მანეთისა, რომლიდანაც ამ თავით ფირმებს ერთი მესამედი უნდა გადაეხადოს, ხოლო დანარჩენი სამი წლის განმავლობაში.

გამგეობას გამოანგარიშებული აქვს, რომ ენკენისთვის დამლევისათვის მოაწყობს სტამბას და დაიწყებს მოქმედებას. ერთი სიტყვით ქუთაისის ახალი სტამბის საქმე პრაქტიკულათ განხორციელების გზაზეა შემდგარი.

ვუსურვებთ ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელთ მწიგნობრობის გავრცელებისათვის ეს საუკეთესო ხელის შემწყობი იარაღი საკეთილოთ მოეხმარათ და მალე დაენახვებინოსთ ქართულ საქმეებზე ასე გულგატეხილ საზოგადოებისათვის, რომ ამ საინტელიგენტო კულტურულ საქმის წარმოება სწორეთ ისეთ დაწესებულების შესაფერისია, როგორიცაა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. იგი მძლავრი იარაღია და დღევანდელ სავალალო, ღუხჭირ პირობებში უძლიერესი საშვალებაა ამ საზოგადოების საამღროვო მოქმედების გაღრმავებისა და თანაგრძნობის მოსაპოებლად.

ვუსურვებ, აგრეთვე, რომ ვაჭრულ-ბიუროკრატიულ ხელობათ გარდაქცეული და სრულიად მოუწესრიგებელი გამომცემლობის საქმე ჩვენში ქუთათურ განყოფილების ხელმძღვანელობით სასურველათ მოწესრიგებულიყოს და მწიგნობრობის საქმეს ჩვენშიაც აღმოჩენოდეს ნამდვილი იდეიური გულშემატკივარი პიონერები ისე, როგორიცა ყავთ მაგ. პოლონელებსა, ფინლიანდიელებს და სხ; სადაც ამ წმინდა საქმეზე იდეიურათ შეგნებული ინტელიგენტური ძალები მუშაობდენ...

**ისო.**

## პატარა ფელეტონი.

### 2345 წელს.

**გ. დე—ლა მიოდისა.**

მუშთარზე *), ჩრდილო—ამერიკის შეერთებულ შტატების სატახტო ქალაქის უზარმაზარ დარბაზში, შუადღისას, შევიდა ვარსკვლავთ-მრიცხველობისა, გეოლოღიისა, მინერალოღიის, პალეონტოლოღიისა და უნივერსოლოღიის პროფესორი ერიჰ სპოვინდატერპელი, სახელგანთქმული მეცნიერი და მჭევრმეტყველი.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. პროფესორი ავიდა კათედრაზედ, ამოიღო ჯიბიდგან დახვეული ხელთ-ნაწერი და ნელა დაუწყო შლა, თან დარბაზში შეკრებილ ხალხს ათვალიერებდა.

კმაყოფილმა იმ სიჩუმით, რომელიც სუფევდა დარბაზში, ალბად იმიტომ, რომ ხალხი დიდებულ რასმე მოელოდდა, პროფესორმა დაიწყო კითხვა:

„ქალბატონებო და ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ მზის სისტემის ქვეყნიერებათა მკვლევარ საზოგადოებამ დამავალა მე ადგილობრივ გამომეკვლია უკანასკნელი პლანეტი, რომელსაც დედამიწა ეწოდება. დღეს მაქვს პატივი მოგახსენოთ ჩემი გამოკვლევის შედეგი. მე დაწვრილებით არ შევეხები მეტად ვრცელ სამეცნიერო ჩემს შრომას, რომელიც ეხლახან გამოიცა 23 ტომად და 5 სარჩევით. მსურველთ შეუძლიათ ამ წიგნებს მიმართონ. დღევანდელ ლექციის მიზანია—მოგახსენოთ, რას წარმოადგენდნენ დედამიწის (აქამდე ოდნავ ცნობილ პლანეტის) მცხოვრებნი.

„ჩემს მოგზაურობაში მე თან მახლდნენ და მეხმარებოდნენ: არქეოლოღი და ფილოლოღი ისტორიკოსი ყარადაპა, დოქტორი ანტრო პოლოღიისა ბურჟეტივორი და ქიმიკოსი ბერტევინი. ყველანი ეხლა აქა ბძანდებიან.

„თვით მოგზაურობა ჩვენი დედამიწისაკენ არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენდა. ჩვენ ცოტახნობით ჩამოვხტით მარიხზე, რადგანაც საჭირო იყო თან წაგველო შეკუმშული მჟავბადი. მარიხის მცხოვრებნი ჩვეულებრივის თავაზიანობითა და თანაგრძნობით დაგვიხვდნენ.

„ჩვენის მოგზაურობის დაწყებიდგან 44 თვის შემდეგ (საათში 10 ათას კილომეტრს ვაკეთებდით) ჩვენი ჰაერში მფრინავი გემი დედამიწაზე დაეშვა.

„ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ დედამიწაზე სიცოცხლე უკვე მოსპობილია. ორასამდე წლის წინად ვულკანიურმა კატასტროფამ გაანადგურა ამ უბედურ პლანეტის ზურგი.

„პატივცემულმა ქიმიკოსმა მოგვცა აზები, დავნაყრდით და შევუდექით კვლევა-ძიებას დედამიწის ნანგრევებში.

„იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ჩვენ დავეშვით (ბედმა გაგვიღიმა) ვიპოვნეთ ფართო თეთრი ფურცელი, შავი ნიშნებით აჭრელებული. პატივცემულმა ლინგვისტმა ბ. კათედრალისმა მაშინვე იცნო დედამიწის ანბანი და აგვიხსნა მნიშვნელობა ჩვენთვის უცნაურ სიტყვებისა.

„დედა მიწის მცხოვრებნი თავიანთ აზრს მხოლოდ სურვილის ძალით კი არა სწერდნენ მგრძნობიარე ფირფიტებზე (როგორც ჩვენ); ისინი თავიანთ აზრებს ბეჭდავდენ მაშინით გათხელებულ რბილ ცომზე, რომელსაც პაპირუსსა ან ქაღალდს ეძახდნენ.

„აი, რა შევიტყეთ ნაპოვნი ფურცლიდგან დედამიწის მცხოვრებთა შესახებ.

„ადამიანები მაღალის ტანისანი არ იყვნენ: ყველაზედ მაღალ ტანის ატამიანის სიმაღლე არ აღემატებოდა ორ მეტრს. ძლიერ უცნაურ ტანთ-საცმელს ატარებდნენ: მამაკაცს თავზე ეხურა კოშკის მსგავსი კარდონის კათხა, აბრეშუმით გადაკრული. დედაკაცს-კი თავზე ედგა პატარა ბაღჩა, ასე 60 სანტიმეტრის სიგანე. ქალებს ისე მაგრად ჰქონდათ წელზე სარტყელი მოჭერილი, რომ ერთმანერთზე წვეტებით გადაბმულ ორ ბზრიალას ემსგავსებოდნენ.

„სცხოვრობდნენ ადამიანები მრავალ სართულიან სახლებში. სახლები მეტად უხერხულად იყო მოწყობილი საცხოვრებლად. სჩანს, ადამიანებს არავითარი მოთხოვნილება ჰიგიენისა არა სცოდნიათ. დღე და ღამ სახლებს იცავდნენ თვით ადამიანებისაგან დაქირავებული ასასები, რომელთაც შემდეგ შვეიცარებს ეძახოდნენ.

ადამიანებს ჩვეულებადა ჰქონდათ სმაჭამა, აუარებელ ხილსა და ბოსტნეულობას ანადგურებდნენ.

მგონია, რომ ცხოველებსაც კი ხოცავდნენ და ცეცხლზე შემწვარ გვამით იკვებოდნენ, თუმცა დანამდვილებით-კი ვერ ვიტყვი ამას.

„ადამიანს რომ სადმე წასვლა დასჭირდებოდა, ზურგზე შეაჯდებოდა ხოლმე ოთხ-ფეხა ცხოველს, რომელსაც ცხენს ეძახდა; იმ დროს, ჯერ ისევ ზღვები იყო დედამიწაზედ. ზღვაში გასვლა რომ დასჭირდებოდათ ადამიანებს, ჩაძვრებოდნენ ხოლმე ვეშაპის მუცელში. როგორცა სჩანს, შიგ სამი დღის მეტს ვერა სძლებდნენ. ქალაქებში კი ხალხი დადიოდა ომნიბუსით. ეს ცხოველი კარგა მოზდილი ტანისა ყოფილა და თვის მუცელში 20 კაცს იტევდა. უეჭველია, ომნიბუსი ყოველთვის მეტად ბინძური უნდა ყოფილიყო და მისი საშუალებით ვრცელდებოდა ყოველ გვარი ავადმყოფობა, რომელიც, ჩვენში, საბედნიეროდ, სრულებით არ არის. სხვა და სხვა ავადმყოფობისა გამო ხალხი თან და თან სწყდებოდა დედამიწაზე.

„რაც შეეხება მწერლობას, საკმარისი იყო, ერთს მწერალს თვისი აზრი გამოეთქვა, რომ მეორე ამ აზრის წინააღმდეგი გამხდარიყო და ორივენი ამაყობდნენ—მართალი მე ვარო; ერთმანერთს უჟიცობასა სწამებდნენ და მკითხველს კი არაფერს უმტკიცებდნენ.

ეს გახლდათ იმათი **პრესსა.**

„მეორე გასართობი დედამიწის მცხოვრებთა ეს იყო: შეიკრიბებოდნენ ერთ დიდ დარბაზში, ყველანი ერთსა და იმავე დროს ლაპარაკობდნენ, ლანძღავდნენ ერთმანერთსა და ისროდნენ რაღაცა შავი სითხით სავსე ბოთლებს. სიმართლეკი განდევნილი იყო ამ დარბაზიდგან. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც, ადამიანთა აზრით, ვინც ლაპარაკობს, იგი უეჭველადა სტყუის.

ეს გახლდათ ადამიანების **პარლამენტი.**

დედამიწის მცხოვრებთ ასეთი ზნე სჭირდათ. 30—40 წლამდე მამაკაცი ქეიფში და სიამოვნებაში ატარებდა დროს და მერე ცოლს ირთავდა. მის მაგიერ, რომ თვისი სიცოცხლე მარტოობაში განეგრძო, ოთხ-კედელ შუა სცხოვრობდა, ცოლთანა, ფინიასთან, შვილებთანა და დედაბერთან, რომელსაც სიძე ეძახდა belle mère, თუმცა ჩვეულებრივ სიდედრი უშნო და ულაზათო იყო.

აქ პარლამენტის წეს-წყობილება, რამდენსამე საათს-კი არა, დღე და ღამ სუფევდა.

„ცოლ-ქმარნი იშვიათად იყვნენ ერთის ხნისა. ქალებს 16—20 წლისას ათხოვებდნენ. სასიძო-კი უნდა ყოფილიყო 40, 50, 60 და მეტის წლისაც.

ქალის გათხოვებიდგან რამდენიმე ხნის შემდეგ სახლში მიიწვევდნენ ხოლმე დოსტაქარსა ან აკუშორს. ექიმი გასინჯავდა ქალს, გამოაყოფინებდა ენას და ეუბნებოდა ქმარს:

„ეს ეღირება 10, 20 ან 50 ათასი ფრანკი (მგონია, ქალის ენის სიგძის მიხედვით). ქმარი მადლობას სწირავდა ექიმს, ჩამოართმევდა ხელს და ფულს აძლევდა. ექიმი სჭრიდა ქალს 20—30 ნაჭრად: ზოგ ნაჭერს ზიზლით გადაჰყრიდნენ, დანარჩენს-კი დიდის ამბით მარხავდნენ მიწაში. ამით ყველანი კმაყოფილნი იყვნენ.

ამას ხალხი ეძახდა **ოპერაციას.**

„მგონია, ბატონებო, საკმაოდ შეიგნეთ, რა უცნაური ზნე-ჩვეულება ჰქონია ადამიანებს. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარ ინდივიდუმებს გონება არ ექნებოდა საკმაოდ განვითარებული: დიახაც, დედამიწის მცხოვრებნი იყვნენ სასაცილონი, ურცხვნი და სასტიკნი.

„ხოლო ჯერ არ მოგეხსენებათ, რამდენად უბედურნი იყვნენ ადამიანები.

ჩვენ პლანეტზე, ჩვენ, მუშთარელნი, უმთავრესად ვზრუნავთ ჩვენ მოძმეთა კარგადმყოფობაზე და კეთილ-დღეობაზე, ვცდილობთ განვაგრძოთ მოძმეთა სიცოცხლე და სიხარული. ასე არ გახლდათ დედამიწაზე. პირიქით, მგონია, ადამიანის ერთად ერთი მიზანი იყო—რაც შეიძლებოდა მეტი ხალხი დაეხოცნა. ხალხის საჟლეტად დედამიწის მცხოვრებთ მრავალი დიდაღაც მომაკვდინებელი საშუალება ჰქონდათ: პრესსა, პარლამენტი, ცოლ-ქმრობა, სიდედრები, ექიმები; ომნიბუსებს აღარ მოვიხსენიებ.. ყველა ეს არ იკმარეს ადამიანებმა და გამოიგონეს... ომი.

„ომში ერთმანერთს მუსრს ავლებდნენ: სჩხვლეტდნენ, ჰპობდნენ, სჭრიდნენ, თავის ქალას ხდიდნენ და აწამებდნენ კიდეც...

„მერე რა მოიპოვა ამით ადამიანმა?..

„ათი-ათას ადამიანთა სიკვდილი და უბედურება და ვითომ სახელი და დიდება სიკვდილისაგან გადარჩენილთათვის!

„მათის აზრით, ერთი კაცის მოკვლა-დანაშაული იყო; ხოლო ათი ათასი კაცის დახოცვა, მათი ხორცის დაკეპვა და დომხლად ანუ ფაფად გადაქცევა სახელოვან და ვაჟკაცურ საქმედ ითვლებოდა! და ამავე დროს ადამიანებს ეგონათ—**სიბრძნე** მოვიპოვეთო...

ამ სიტყვებზე დარბაზში ისეთი სიცილი ასტყდა, რომ პროფესორი იძულებულ იქმნა ლექციის კითხვა შეეწყვეტა.

**ნარი.**

*) პლანეტი—იუპიტერი.

## ქართული საქმეები და სტამბა ლონდონში.

**(წერილი ქუთაისიდან).**

ამას წინეთ ლონდონში მცხოვრებმა ჩვენმა ახალგაზდა თანამემამულემ ბ. დავით ლამბაშიძემ[1]) წერილით მომმართა გამეგზავნა უორდროპისთვის ოქსფორდის უნივერსიტეტში დაარსებულ ქართულ წიგნთსაცავისათვის ყოველნაირი ქართული წიგნები და განსაკუთრებით კავკასიის შესახებ ისტორიული ნაწერები.

ბ. დ. ლამბაშიძეს ეს დავალება სიამოვნებით შევუსრულე მით უფრო, რომ იგი, თურმე, ხუთი წლის სურვილი ყოფილა ქართულ საქმეებისათვის უცხოელ მოამაგის ბ. უორდროპისა. მისთვის ეს დავალება საქართველოდან ამ ხნის განმავლობაში ვერავის შეუსრულებია ჩვენებურ დაუდევრობით და ვერ მიუწოდებია ქართული წიგნები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის.

ნაწილი ქართული წიგნებისა რაც მე მომეძეოდა და სხვებისაგანაც ვიშოვე, უკვე გაუგზავნე ბ. ლამბაშიძეს უორდროპისათვის, და შეუთვალე გამოგზავნილ ქართულ კატალოგებიდან რასაც ამოირჩევთ, კიდე გამოგიგზავნითქო.

ამ დავალების შესრულების შემდეგ ლონდონელმა ჩვენმა თანამემამულემ ხელახალი ამგვარივე დავალებით მომმართა. მან 10 ივნისის ბარათში მომწერა, რომ **ბ. უორდროპს სურს შეიძინოს ქართული საწერი მანქანა** და მაცნობევის, სად და რა ფასებში გააკეთებინეთ მანდ რომ ქართულ დაწესებულებებში ქართულ საწერ მანქანას ხმარობენო.

იქვე აი რას იწერება ბ. ლამბაშიძე: „ბრიტანიის მუზეუმმა პეტერბურგში **შეიძინა უმსგავსო ქართული ასოები, რომლებსაც ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს.** მე წინადადება მივეცი, რომ უფრო უკეთესი შრიფტი შეიძინონ და ამისათვის გთხოვთ ყოველნაირი ქართული ასოების ნიმუშები გამომიგზავნოთ დაბეჭდილი და მაცნობოთ, თუ რა დაჯდება ფუთი მანდ?

ამ წერილს ვწერდი, რომ „იმერეთი"-ს რედაქციიდან გამომიტანეს ბ. ლამბაშიძისაგან გამოგზავნილი წერილი. აი რას იწერება ამ მესამე 21 ივნისის წერილში იგი: „აქ მყავს ერთი ნაცნობი ინგლისელი მღვდელი, რომელიც ხუცურს სწავლობს და გთხოვთ იმისათვის გამომიგზავნოთ ერთი ცალი **ჟამნი,** მამა ჩემის გამოცემული.

სრულიათ დარწმუნებული ვარ, რომ შეგეძლოთ წიგნები უფასოთაც გამოგეგზავნათ, მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, რომ თქვენისთანა სასარგებლო კაცს ქონებრივი შეძლება უნდა მივცეთ საქმეების საწარმოებლად. 10 ივნისს გამოვგზავნე წერილი, რომლის პასუხსაც, ალბათ, მალე მივიღებ".[2])

რაკი ბ. დ. ლამბაშიძის უცხოეთში ქართული საქმეების მოგვარებაზე შეგვექნა ლაპარაკი, საჭიროთ მიმაჩნია მკითხველებს ხაზ-გასმით მიუთითო მისი „წე-

[1]) ლონდონელი დ. ლამბაშიძე შვილია განსვენებულ ცნობილ დეკანოზ დავით ლამბაშიძისა.

[2]) ესაა ზემორე მოყვანილი წერილი სტამბის შესახებ, რომლის პასუხი და ქართული შრიფტის ნიმუშები უკვე გაუგზავნე.

---

17.

შავ სიკვდილის საიდუმლო
ჭეშმარიტად იცი შენა
და მიტომაც შენი კვნესა,
წმიდა გრძნობით აღმაფრენა,
საძღვნოთა გაქვს ძირს მიწისთვის, მისთვის გინდა შვება-ლხენა.

18.

ცხოვრების გზას ხარბათ ვსწურავთ
ვინემ ყვავის გაზაფხული,
მაგრამ თანაც ლაღ ღიმილში
ცრემლი მოჩანს ჩამარხული,
ის სიმღერა გულს გვითრთოლებს, სად სევდაა ჩაქარგული.

19.

მაგრამ სევდა თუმც აროდეს
არ გვწვეოდეს გულის მკვლელათ,
თუმც სამოთხე ქვეყნათ გვქონდეს
ნეტარების დასაცველათ,
შენებრ მაინც ვერ ვიოხრებთ, ვერ მოვილხენთ უდარდელათ.

20.

შენი მღერა ჯადოთ სავსე—
შენებრ რომ ნთქავს ცის ეთერი,
ზეცის ხმაზე ნარნარია
ლაჟვარდიდან მონაბერი,
მიწის სიბრძნეც მასთან მკრთალობს—მასზე ღრმაა ლაღათ მღერი.

21.

ამ სიმღერის თუმც ერთი ხმა
ზენას ჩემთვის რომ მოეცა,
ადამის ძეთ ჟამს ბრძოლისას
ჰიმნს ვუძღვნიდი გრძნობით მეცა..
მაშინ ვით შენ—მეც მისმენდა ძირს მიწა და მაღლა ზეცა.

## ნეაპოლთან—ჟამს კაეშნისას.

(თავისუფალი თარგმანი)

ცის ლაჟვარდში მზე ქათქათებს, დასჩქეფს ტალღა, ჭ ბუტბუტებს,
შვადღის სხივთა ძოწეული გვირგვინს უმკობს თოვლიან მთებს.
ზამთრის ძილი გაღიკარგა, ფრთას შლის ირგვლივ მთა და ბარი:
კოკორი ფეთქს, შორით ქრის ზღვაზე ჟღერის ზვირთთა ქნარი,
ჩიტთა გუნდი ღმერთს ლოცულობს... ჰა, იღვიძებს არე-მარე..,
აქ სინაზით მიბნედილა თვით ქალაქის ხმა მქუხარე...

—

ზღვის იისფერ წყნარ სიღრმეში ტალღა არხევს წყლის მცენარეთ,
ზურმუხტ კაბა შეწითლული კამკამებენ პირ მცინარეთ...
ვარსკვლავთ წვიმას წინ გიხატავსთ მათი ზნექა ნაზზე ნაზი...
ზღვის სარკეზე მიხატულა მათი სახე ცით ლამაზი...
მარტო ვხვდები მე გაზაფხულს... ზღვა, როგორც მე ღელვას იკლავს...
ეჰ, საბრალოს, ამ წუთს ახლო რათ არვინ მყავს, რათ არვინ მყავს?..

—

ვაჰმე, ვაგლახ! უიმედოს არვინ მიწვდის ძმურათ ხელსა,
სულსა ეჭვი ყორნებ კორტნის, მშვიდს ველარ ვჭვრეტ ვერც სოფელსა...
ჩემთვის ბედის სიტკბოებით განსვენება არ შობილა,
სიჩუმის ჟამს ჩანაფიქრი ჩემთვის შვება არ ყოფილა...
ტკბილი სიტყვა, სიზმარიც კი ჩემთვის ბედმა დაიშურა,
სხვას ცხოვრება ანებივრებს, ჩემთვის შხამი დაიწურა...

—

მაგრამ აქ კი, სადაც სიო დაჩურჩულებს განახარი,
თავისუფლათ დაფარფატებს მახარობლათ ცაში ქარი,
როგორც მოღლილ, ობოლ ბავშვსა გრძნობით მსურდა ქედის მოხრა:
ამოტირა გულის სევდის, ამოცრემლა, ამოოხვრა...
აქ სევდაც კი ნარნარია ვით ქალწულის ცრემლის წვეთი,
კაეშანი გაპნეულა მიწის ცასთან შემაერთი...

—

და მსურდა, რომ ამ ღვთიურ წამს საუკუნოთ მიმესვენა,
ხელდაკრეფილს მომესმინა როგორ მგლოვდა ტალღათ ენა,
ნელის რწევით დამტიროდა, ცის ეთერში მიმაფრენდა...
იქნებ ვინმეს მკვდრათ რომ ნახლა აფეთქოდა გულის სევდა...
ამ წუთს მაინც შევებრალე დატანჯული, სევდის შვილი...
. . . . . . . . . . . .

—

## ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ე ბ ს.

ბრიტანელნო,
რათ აკვდებით მუდამ გუთანს
იმ ლორდთათვის,
ყველა მათგან თქვენ რომ გხუთავს?
რათ უმზადებთ
იმ მტარვალებს თბილ საბურავს,
ვინც თქვენს სახელს
მუდამ წყევლის, მუდამ კრულავს?

—

რათ ევლებით
დღე და ღამ თავს შრომის შვილნი
აკვნებიდან
სამარემდე ქედ მოხრილნი,
იმ უსირცხვო
მუქთა ხორებს—ოფლს რომ გთხოვენ,
ოფლთან ერთად
შეუბრალნი სისხლს რომ გწოვენ?!
რათა, რისთვის
თქვენ, ფუტკრებო მამულისა,
უნდა ქედოთ
ბორკილები ჩაგრულისა?
ნუ თუ მისთვის,
რომ მაძღარი, უშრომელი
პირში ლუკმას
უკეთ გლეჯდეს ულმობელი!?

—

თქვენ უხვათ გაქვთ
მონანიჭი ღონე-ძალნი,
შეგიძლიათ
აღმაფრენა, არ ხართ მხდალნი...
სთქვით, რას იძენთ
ნაცვლათ ამის, შრომის შვილნი,
შიშ-ტანჯვაზე
ბავშვობიდან მიჯაჭვულნი?

—

რაც დათესეთ,
თქვენს უკითხავ სხვა მკის იმას,
თქვენი ოქრო
სხვას უსქელებს უძღებ ჯიბას,
თქვენს მონაქსოვს
სხვა მიათრევს საპატრონოთ,
თქვენს ნაჭედ ხმალს
სხვა ილესავს საბატონოთ...

—

სთესეთ, მაგრამ
ნუ წაგართმევსთ ჩერჩეტთ გროვა!..
სჭედეთ ოქრო—
მხოლოდ თქვენთვის—შორს ის ხროვა!..
ქსოვეთ თქვენთვის,
მუქთა ხორებს კი სიკვდილი,
შენს ნაჭედ ხმლით
შენვე ჰქუხდე შრომის შვილი.

—

მაშ, მიბრუნდით
ისევ უკან ლაჩრებივით!..
თქვენს ნაშენ კოშკს
სხვები ფლობენ ბედის სხივით...
თქვენს ნაწრთობ ჯაჭვს
თქვენვე ზიდავთ ბორკილებათ...
ფოლადს ლესავთ
თქვენივ დასამორჩილებლათ...

—

ბარს, ბარს ხელი!
ამ წუთს მაინც ნუ შეკრთებით!
საფლავები
გაიჭერით, ნუ შედრკებით...
და სუდარში
გაეხვიეთ ფითრის ფერით,
თქვენ ინგლისი
მიგისვენებსთ გულის ძგერით!..

—

## ფილოსოფია სიყვარულისა.

ნაკადულთა მჩქეფი გუნდი
ლაღ მდინარეს უძღვნის ტალღებს,
მდინარეც ზღვას უერთდება
მისს გრიალში აწნის ნაზ ხმებს.
ქარი მიწას დაფარფატებს,
მასაც კოცნის ნისლის ქულა...
ყველა არსი ქვეყანაზე
სიყვარულით შეჯაჭვულა.
და ჩვენ კი, რათ, მეგობარო,
ჩემო ტურფავ, შვებავ ცისა,
არ შევერთდეთ იმ გრძნობაში
ვინაც ყველა შეათვისა?

—

შეხე, მთათა მწვერვალები
მიილტვიან ცისკენ ვნებით
და ტალღაცა ნაპირისკენ
მილუკლუკებს მსუბუქ ფრთებით.
ყვავილები, ვით და და ძმა,
შეხარიან ერთმანეთსა,
მორცხვათ თავებ ჩაქინდრულნი
ლოცულობენ ტრფობის ღმერთსა...
გიჟმაჟ ზღვის მკერდს ღამე კოცნის
და მიწას კი დღის ნათელი,
მაგრამ მე რა?! როცა შენი
აღარ მატკბობს კოცნა მწველი.

**ვ. მალაქიაშვილი.**

რილი რედაქციის მიმართ“-ზე „სახალხო გაზეთში“ № 922 ივნისის 19, სადაც იგი აფრთხილებს თავის თანამემამულე მუშებს, რომ ისინი ნუ გაჰყვებიან მატყუარა მოიჯარადრე-მაჰანკლებს, უცხოეთში ვითომ სამუშევრის საშოვნელათ. მოხერხებულ მოიჯარადრეებს მოტყუებით მიყავთ კავკასიიდან მუშები ამერიკაში, რომლის ცხოვრების პირობები და იქაური ენა აქაურებმა არ იციან და მოიჯარადრის დაშორების შემდეგ ღვთის ანაბარათ რჩებიან, სამუშევარს ველარ შოულობენ და ცუდ ხელობას უნდა მიყონ ხელი. ავტორს მოყავს ამის მაგალითები ომიანობის დროს მანჯურიასა და აღმოსავლეთ ციმბირში წასულ ქართველთა ცხოვრებიდან. იქ ჩვენებურებმა სამუშევრის უშონლობის გამო ექსპროპრიაციას მიყვეს ხელი.

ასეთ ემიგრაციას სერიოზული დაკვირვება და საჭირო ცნობების შეკრება უნდაო, გვირჩევს ბ. ღამბაშიძე და ამიტომ ავალებს სოფლის მასწავლებლებს, ინტელიგენციას, რომ გააფრთხილონ სოფლის მუშები ასეთ მაჰანკლების რჩევით ნუ გაბრიყვდებიან და ცნობების შეუკრებლათ ნურავის გაყვებიან უცხოეთში.

ამასთან ერთათ ბ. დ. ღამბაშიძე თითონ კისრულობს ემიგრაციის შესახებ ნამდვილი ცნობების შეკრებას და მიწოდებას, თუ კი ვინმე მიაწოდებს მას ლონდონში სამუშევრათ წარსულთა მისამართს.

საჭიროა ბ. ღამბაშიძის წინადადებას ყურადღება მიაპყრონ ჩვენებურმა მუშებმა.

როგორც მკითხველი დაინახავს, ჩვენი თანამემამულე უცხოეთში სხვადასხვაგვარ ქართულ საქმიანობას ეწევა, მას სამგვარი კულტურული საქმის მოგვარება დაუწყია ინგლისის უდიდეს **ცენტრში. რამდენადაც** გაზეთებიდან ვიცით, იგი იქ მეორენაირ ქართულ სამრეწველო საქმესაც ეწევა. მას ლონდონში დაარსებული აქვს **საექსპორტო და იმპორტო** კონტორა კავკასიის ნაწარმოებთა სასასაღებლათ უცხოეთში.

სამწუხაროთ, მე ჯერ არ ვიცნობ მის უნარს ამ დარგში, მაგრამ მისი ამგვარი შემმართებულება (предпріятіе) უცხოეთში საამდროვო სასარგებლო საქმიანობად მიმაჩნია, რისთვისაც იგი მუშების წაქეზების და ხელის შეწყობის ღირსია თანამემამულეებისგან. მისი მაგალითი გვეუბნება, რომ იგი უცხოეთში ბევრ ჩვენებურ ახალგაზდებივით დროს გასატარებლად არ წასულა და გარდა თეორეტიულ ცოდნის შეძენისა, პრაქტიკულ—კულტურულ საქმიანობასაც ეწევა იქ, რაც თითო-ოროლას გარდა არავის მოუხერხებია.

რაც შეეხება საწერ მანქანის შესახებ ცნობებს, ისინი ტფილისიდან ბ. ფ. გოგიჩაიშვილისაგან მიღებული უკვე გაუგზავნე ლონდონში. გაუგზავნე აგრეთვე თბილისიდანვე დაბარებული კატალოგი ქართული ასოების ნიმუშებისა მადერის ქარხნის, საიდანაც მუზეუმს შეეძლება ქართულ შრიფტის გამოწერა და სტამბის მოწყობა.

ბ. დ. ღამბაშიძის საზოგადო ხასიათის კერძოთ მოწერილ წერილების გამოქვეყნება მე საჭიროთ მივიჩნიე ჩვენ თანამემამულეთა საგულისხმოთ.

**ისიდორე კვიცარიძე.**

# უცნაური განკარგულება.

**წერილი ლეჩხუმიდან.**

იმას, რასაც სხვა მაზრებში და ჩვენის ქვეყნის სხვა კუთხეებში არსებული კანონის ძალით არ დაუშვებენ, არსად მსგავს მოვლენებს ალაგი არა აქვს და პირდაპირ უკანონო მოქმედებათ არიან აღიარებული, —ამისთანებს ლეჩხუმის ცხოვრებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით და ლეჩხუმის დღევანდელი მმართველ-გამგენი აშკარა უკანონობას კანონიერების სახელით ყოველდღიურ ცხოვრებაში ახორციელებენ. ამ წერილში მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთ „უცნაურ განკარგულებას“.

ლეჩხუმის სამ უმთავრეს სავაჭრო ცენტრებში, დ. ლაილაში, ჭრებალოში და ცაგერში, მთავრობისაგან ნება დართული იყო პარასკეობით და კვირაობით დიდი სახალხო ბაზრობა—აღებ-მიცემა დღემდი ამ ნება დართულ ორ დღეს და **განსაკუთრებით კვირაობით** ხსენებულ ადგილებში დიდძალი ხალხი იყრიდა თავს და ლეჩხუმის პირობაზე ჩინებული აღებმიცემა იყო გაჩაღებული... მაგრამ ეს ოთხი-ხუთი თვეა, რაც ლეჩხუმის მაზრის უფროსმა ბ. ენკელმა კვირაობით ყოველგვარი აღებ-მიცემა, „ხსენებულ დაბებში ხალხის თავის მოყრა და ბაზრობა სასტიკად აღკრძალა. სისასტიკე იქამდისაც მიდის, რომ არა თუ სხვა სავაჭრო მაღაზიები, არამედ სასმელ-საჭმლის რესტორანები და დუქნებიც შაბათს საღამოს 6 საათიდან ორშაბათ დილის 6 საათამდე დაკეტილია და ამ „განკარგულების“ დამრღვევთ სასტიკის სასჯელით ემუქრებიან ბაზრის მცველები. კვირა დილიდანვე ბაზარში შემოსასვლელ გზებში სტრაჟნიკები დგანან თოფებითა და მათრახებით და სოფლიდან გასასყიდათ შემოსულს ყოველგვარ მეურნის ნაწარმოებს უკანვე აბრუნებენ... და ამ „უცნაური განკარგულებით“ სახტად დარჩენილი გლეხები, ზურგზე მოკიდებული ტვირთებით თვალცრემლიანი ბრუნდებიან სახლში. მთელი სიმძიმე ამ „განკარგულებისა“ უმთავრესად დ. ლაილაშს აწევს და ეს ზემოთ თქმულიც ლაილაშში ჩემის თვალით ნახული ფაქტია.

სხვა მრავალ შემთხვევათა შორის ზედმეტი არ იქნება, რომ ილლიუსტრაციისათვის მოვიხსენოთ ორი პატარა ფაქტიც: 1) დ. ლაილაშში მოვიდა ახლად გამწესებული მომრიგებელი შუამავალი თავ. აგიაშვილი. მეორე დღე კვირა იყო და უთუოთ ახალ მოსულმა იფიქრა, რომ სადილობის დროზე ბაზარში გავალ და სადმე რესტორანში ვისადილებ, ანუ ბინაზე მოვატანიებ სანოვაგესო და ამიტომ გულდამშვიდებული თურმე უცდიდა სადილობის ჟამს. . მაგრამ როდესაც მადაზე მოსული შუამავალი ბაზარში გავიდა, ბაზარი სამარეს გავდა, ყველაფერი დაკეტილი დახვდა, არაფრისთვის მას დუქანი არავინ გაუღო და ძალზე გულმოსულს მოხელეს რომ ნაცნობი არ აღმოსჩენოდა და სადილი არ შესთავაზებია, მთელი დღე მშიერ-მწყურვალი დარჩებოდა; 2) კვირა საღამოს 7 საათზე ერთი მედუქნე, გვარათ ალხაზოვი შეეხვეწა ბაზრის მცველს, რომ ლამპის ასანთებათ სახლში სპიჩკა არა მაქვს, შენ თვითონ წამომყევი და დუქნიდან ერთი კოლოფი სპიჩკის გამოტანის ნება მიბოძეო, მაგრამ დარაჯმა ნება არ დართო და მედუქნეც წყევლა-კრულვით სახლში წავიდა.

ასეთია სისასტიკე „უცნაურის განკარგულებისა“. თუ არ ვცდები, დიდ საგუბერნიო ქალაქებში, სადაც ვაჭრობამრეწველობა სდუღს და მრავალი დაქირავებულნიც არიან დღიურ შრომაში გაბმული, აი ასეთს ცენტრებშიაც კვირა-უქმე დღეებში დღის თორმეტ საათამდე არიან დაკეტილნი დუქან-მაღაზიები, სადაც სამართლიანობა მოითხოვს, რომ დაქირავებულთა ნორმალურ დასვენებისთვის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი მთელი კვირა უქმე დღეებში მართლაც დაკეტილნი უნდა იყვენ; ხოლო ისეთს სულისმღაფავ დაბაში, როგორიც არის დ. ლაილაში, სადაც თითოეულ ღარიბ დუქანს თითოეული მეპატრონე მედუქნე-და დასტრიალებს თავს,—ვისთვის და რისთვის არის საჭირო კვირაობით 12 საათს შემდეგ დუქნების დაკეტვა?

რაც შეეხება კვირაობით ბაზრობას, სოფლის მეურნეობისა და გლეხკაცობის ნაწარმოების ბაზარზე გამოტანასა და მისს გასაღებას კვირაობით, ეს ხომ ყველგან ნებადართულია და არ ვიცით, ლეჩხუმმა ვის რა შესცოდა, რომ ასე სასტიკადაა დასჯილი.

ვინ არ იცის, რომ ლეჩხუმს, გარდა საკუთარი ხსენებული ბაზრებისა, 50—60 ვერსის მანძილზე ბაზარი არა აქვს, რომ იქ გაასაღოს თავის ნაწარმოები; ისიც კარგათ მოგეხსენებათ, რომ გლეხისა და მეურნესათვის ერთათ-ერთი დღე კვირაა, რომ გაასაღოს თავისი ნაშრომ-ნადაგი და აქედან ოჯახის საჭიროებას გაუძლვეს და დღეს ამასაც მოკლებულია ლეჩხუმი. ამ „უცნაური განკარგულების“ წყალობით თვალსაჩინოთ დაზარალდა უმთავრესად სოფლის გლეხი და მერე-კი საერთოთ მთელი ლეჩხუმის მცხოვრები. ამბობენ, რომ ეს „განკარგულება“ „სარწმუნოებრივი“ მიზნით არის გამოცხადებულიო; რომ ხალხმა კვირაობით ეკლესიებში იაროს და მეტი არაფერი აკეთოსო... მაგრამ სამწუხაროთ ეს „სარწმუნოებრივი თეორია“ არც აქ მართლდება, ვინაიდან კვირაობით ბაზრობას, აღებ-მიცემობასა და თანაც მღვთის ვედრებას მიჩვეული ხალხი ძალდატანებით კარჩაკეტილობას ვერ შეეგუა და თავისუფალ დროს ნარდკარტის თამაშსა და ლოთობას ანდომებს.

ასეთია მოკლეთ გადმოცემული ნაყოფი „სარწმუნოებრივი“ მიზნით გამოცემული „განკარგულებისა“. მაგრამ ჩვენებური გულუბრყვილონი მაინც გაიძახიან: უმაღლესმა მთავრობამ რომ იცოდეს ასეთი უსამართლობანი და ჩვენი გაჭირება და თანაც პრესაში ხშირათ იწერებოდეს ჩვენებური ამბები, რამე გვეშველებაო. მე მგონია, რომ „გულუბრყვილო“ ადამიანებს მეხსიერება აკლიათ, თორემ განა ამ ორი თვის წინეთ დ ლაილაშის რწმუნებულებმა ბ. ქუთაისის გუბერნატორს ეს „უცნაური განკარგულება“ დეპეშით არ აუწყეს დაწვრილებით? განა ამ გასულს წლებში რუსულ-ქართულ გაზეთებში დაწვრილებით არ იყო აღწერილი, რომ პოლიციის მაძებარი ძაღლების შესანახავათ ცამეტი საზოგადოების მამასახლისებს ხუთ-ხუთი თუმანი გადაახდევინეს და მერე ეს ფულები საზოგადოებებს დააწერეს და გადაახდევინეს კიდეც? განა გაზეთებში არ იყო ის ფაქტი აღწერილი, რომ ამ რამოდენიმე წლის წინეთ და თუ არ ვცდები 1910 წელში ზემო სვანეთის რამოდენიმე საზოგადოებებს კომლზე თითო აბაზი გადაახდევინეს ვითომ იმისთვის, რომ ამ ფულით მუშურის მთაზე გზის მაჩვენებელ რკინის მავთულს გააბამდენ, სადაც ზამთრობით მოგზაურობის დროს ქარ-ბუქისა და გზის დაცილებისგან ყოველთვის რამოდენიმე სვანი იღუპება და დღემდის კი მავთული არსადა სჩანს. მერე რა ბედი ეწია ყველა ამ მხილებებს? ის, რომ დარჩა უხმოთ „უდაბნოსა შინა“.

შეიძლება ამ უკანასკნელ მხილებასაც წინაპართა ბედი ეწიოს... მაგრამ ჩვენ მაინც საქვეყნოთ აღვიმაღლებთ ხმას და ვიტყვით, რომ იმ კანონებს მაინც დაუქვემდებარონ ლეჩხუმის მაზრა, რაც საყოველთაოთ სახელმწიფოში არსებობენ.

Leo.

# საქართველოს ამბები.

**წირქვალის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). ამ ორი წლის წინად ჩვენ მოვისურვეთ აქაური ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთება, რისთვისაც ხალხმა სთხოვა სამასწავლებლო მთავრობას ნებართვა და მასთან ნივთიერი დახმარებაც. მთავრობა სიამოვნებით დასთანხმდა და აღუთქვა ხალხს მასწავლებლის სახაზინო ხარჯით მიცემას და შენობის ასაგებ მესამედი ხარჯის დაკმაყოფილებას. მას შემდეგ გადის ორი წელიწადი და სასწავლებელი არის დროებით მოთავსებული კანცელარიის ორ ოთახებში და რაც შეეხება ახალი შენობის აგებას, ეს ძალიან უყურადღებოდ არის დღემდის მიტოვებული. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ვერასფერი საშუალებით ხალხი ერთმანეთში ვერ შეთანხმდა, თუ სად და რომელ ადგილზე უნდა აეშენებიათ ეს ზემოხსენებული შენობა, რომ ყველასათვის ხელმისაწდომი ყოფილიყოს. საზოგადოების არჩეულმა დეპუტატებმა იყიდეს სამი ქცევა ადგილი სახელწოდებული „ქორეთისა“, რაც ხალხს დაუჯდა ათას მანეთზედ მეტი, მაგრამ ეს ადგილი არც მთავრობას მოეწონა და მეტმა წილმა ხალხმაც უარი გამოაცხადა და მოითხოვეს სხვა ადგილის არჩევა. ამას რასაკვირველია მიაქცია ჯეროვანი ყურადღება მთავრობამ და 24 ივნისს ადგილობრივმა მამასახლისმა მოახდინა საგანგებო კრება, რომელსაც თითქმის არც ერთი ოჯახის წევრი არ დაკლებია. მობრძანდა ქიათურის ბოქაული ბ. გაბუნია და ხალხს აუხსნა ზემოაღნიშნული ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები სასწავლებლის შენობის ამდენი ხნის აუშენებლობისა, და მასთან ხალხს მისცა დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ამასთანავე დაევალათ, რომ აერჩიათ ახალი ადგილი, დაედგინათ განაჩენი და საქმე საბოლოოთ გაეთავებიათ. ხალხმა თავის მხრით აირჩია კომისია და დაავალა მას, რომ დაესახელებია რამოდენიმე ადგილი, გაეგო მეპატრონედან შეძენის პირობები, და შენობისათვის მასალის პირობები და გადაეცათ ხალხისთვის თავის განაჩენი. კომისიის წევრებმა ბ. ბოქაულის თანადასწრებით ითათბირეს და ამოირჩიეს ორი ადგილი: 1. ვასილ გამყრელიძის, რომლის ფასი შეადგენდა 1650 მან. და 2. ადგილი გაფრინდაშვილების, რომლებმაც დაუთმეს 800 მან. და შენობისათვის ქვა და სილა უფასოთ. ამის შემდეგ ბ. ბოქაულმა ხალხს ეს ყოველივე პირობები აუხსნა და დაეკითხა, რომელი ადგილი გსურთო. ხალხი გაიყო ორ ბანაკად. შემდეგ ბოქაულმა უბრძანა მამასახლისს, რომ ხალხი გადაეთვალა. მამასახლისმა ხალხი დათვალა და აღმოჩნდა, რომ გაფრინდაშვილების ადგილზედ სკოლის დაარსების მსურველი იყო რიცხვით 650 კაცი და გამყრელიძის კი 140 კაცი. ბოქაულმა 650 კაცის ხმა კანონიერათ სცნო.

ამ ნაირათ საქმე საბოლოოთ გადაწყდა და სასურველია აღარ შეეშლებოდეს ხელი ამ კულტურულ დაწესებულების დამთავრებას ხალხის საკეთილდღეოდ.

**ისიდორე ნადირაძე.**

# „თემის“ ფოსტის მაგიერ

**სარედაქციო გოდრის წუხილი.**

—როგორ წარმოვიდგენდი, ბ-ნო რედაქტორო, რომ ჩემს წუხილს ვინმე ყურადღებას მიაქცევდა და ასეთს შეღავათს მომცემდნენ ჩემი პოეტები. ასე რომ მცოდნოდა, ამდენ ხანს ამოვიღებდი ხმას. რა კარგი ყოფილა ხანდისხან გაბედული ხმის ამოღება და მჩაგვრელებთან მედგარი შებრძოლება. მართალია, ჩემმა საყვედურმა შენზე ვერ იმოქმედა და ისევ, თუ რამე ჩაგივარდა ხელში, გულმოსული მახლი თავში, მარა ეს კი ცხადია, რომ ჩემი პოეტები ძალიან დაფრთხნენ. ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად, თორემ წინანდებურად რომ ყოფილიყო საქმე—ძალიან გამიჭირდებოდა და ამ პაპანაქება სიცხეში ღმერთმანი დავიხრჩობოდი.

ისიც უნდა ვსთქვა, რომ ამ ხმის ამოღებამ ბევრი მტერი შემძინა და ისე მემუქრებიან, რომ თუ სადმე მიხელთეს, რიგიანად მიმზელენ ჩვენი სახელგანთქმული პოეტები, მარა ბრანწი მათ საქმეს, არც ისე მშიშარა ვარ და იქნება მიზელილი მე კი არა, თვითონ ისინი დარჩნენ...

რა კარგი იქნებოდა, ბ. რედაქტორო, რომ ამ ვაჟბატონის წერილი დაგებეჭდა. მაშინ მე არ დამჭირდებოდა იმისი გამოქვეყნება და არც ის დარჩებოდა უკმაყოფილო.

ჩემის ფიქრით, ამ პოეტს ზემო სართული ცოტათი დაზიანებული უნდა ჰქონდეს, თორემ სალი გონების პატრონი ასეთს წერილს მოიწერდა? ეს ხომ ზემოუბნის კეკლუცების ლექსიკონიდანაა ამოკრეფილი? მერე რა წყევლა სცოდნია, თქვენი ჭირიმე!.. ცოტა დავიმშვიდდი, როცა ქვემოდ მიწერილი წავიკითხე: ამ წერილს საავადმყოფოში ვწერო. თუ საავადმყოფოში არა, აბა სად უნდა დაწერილიყო ასეთი ეპისტოლე.

აი მაგალითები: — „მასხარათ მაშინ ამიგდეთ, როდესაც თქვენისთანა დროებით მწერალ-მასხარაები ვიტირო და დეპუტაციებით, გვირგვინებით შევამკო იმათი გვამი. კვდრების კი არა, თქვენისთანეების ცოცხლების გამარჯობასაც არ ვიკადრებ. ვინა ხართ? საიდან ყრიხართ ვილაცა ბიჭ-ბუჭები. რა მცოდნია თქვენი, რომელნიც ერთი რუმკა არაყის გულისათვის თუ გინდ ყირამალას გადახვალთ. თუ იმას ფიქრობთ, არ დაგიბეჭდავთ და რა გინდაო, ნუ დაბეჭდავთ. მე კი არა ბ. ია ეკალაძესაც არ დაუბეჭდა სამძიმრის ანუ სამგლოვიარო სიტყვები სახალხო გაზეთმა, მაგრამ იმით ბ ი. ეკალაძეს ღირსება არ მოკლებია.

დიდებული მწერალ მოღვაწეების გლოვა ტირილს და ქება დიდებას შენისთანეებისაგან არც დამიშლია და არც დავიშლი. ამ ოცდა ხუთ წელიწადში ვინც კი მომკვდარა ღირსეული, ყველასათვის სიტყვა მითქვამს, რომელიც მალე გამოვა ცალკე წიგნათ მათი სურათებით და დეე მაშინ მასალა გექნება და მოუყევით თქვენ განგაშს, ეგება ვინმე გააცინოთ და კუჭი გამოიძღოთ, და სხვა...

ქუცი, ქუცი, ნუ ყეფავ
მასხარა შუქურია,
მაგრამ რას იქ? ეგება
გშია და ან გწყურია.
დროზედ რომ მომეტება
შენთვის ლუკმა პურია,
მაშინ არ დაგწყდებოდა
ასე ჩემზე გულია.

—

(დედა აზრი ამ ლექსის
ზემოთ წარმოთქმულია,
აკაკის ლექსიდან მაქვს
აზრი აღებულია...“).

ასე მწერს გულმოსული პოეტი. მის სახელ და გვარსაც გამოვამჟღავნებდი, მაგრამ მენანება, რადგან საბრალო ეხლა საავადმყოფოშია, დარდის გამო ბუღი რომ აუვარდეს თავში და... არ იმასქნას.

ჩვენს შორის დარჩეს, ბ. რედაქტორო, მარა ძალიან მაფიქრებს ერთი გარემოება: ვაი თუ მან მართლა გამოსცეს თავისი „გლოვის ზარი“ და რაკი ვიცი, ის შენ არ მოგეწონება, შენებურად მე მთხლეშ თავში... როგორმე ამაცილე ბ. რედაქტორო, ისე, როგორც აი ის პატარა წერილი ამაცილე და იატაკზე გაუშვი. შეცდომით მოგივიდა ეს ბ. რე—რო, თუ განგებ მოიქეცით ასე. დაიცადე, ეხლავე გავიგებ მიზეზს, აქედან კარგად ვხედავ მეოთხე გვერდს და გადავიკითხავ.

„ბ. რედაქტორო! გიგზავნი ორ ლექსს, თუ სასურველად და საჭიროდ სცნოთ, დაბეჭდეთ უახლოვეს ნომერში.

თუ არ დაბეჭდავთ, იმ შემთხვევაში, თქვენს სარედაქციო გოდორს ჩემის მიზეზით ნუ გაგულისებთ... ვინაიდან, მას შემდეგ რაც მან თავის უკმაყოფილება ამცნო საზოგადოებას, მე იგი მეცოდება, მებრალება... მაშ ასე, ნუ შეაწუხებთ „სარედაქციო გოდორს“. თუ ამ ლექსებმა არც ერთმა „თემ“ი“ დ საბეჭდათ არ ივარგოს, იმ შემთხვევაში მიიღეთ ისე, როგორც მასწავლებელმა, დამრიგებელმა, მრჩეველმა:—და იმედია, მომეცემა ოდესმე შემთხვევა გინახულოთ პირადათ და გავიგო თქვენი პირადი შთაბეჭდილება და აზრი ჩემზე და ჩემს ლექსებზე“...

ეხლა კი მივხვდი, რატომ ამაცილე და იატაკზე გადისროლე. შეასრულე განა პოეტის თხოვნა?! და აი, რომ [illegible] ნახულებს, დაწვრილებით მოახსენე შენი „შთაბეჭდილება“ და რჩევა მიეცი, რომ თავს ნუ იწუხებს ლექსების წერით ..

**შუქურა.**

რედაქტორი ს. მგალობლიშვილი.

გამომცემელი გრ. დიასამიძე.

ხელოვნურად შეზავებული



სამკურნალო და ხილეულობის წყალი

# მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## ბემოვ და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

## სტამბა „სორაპანი“

ღებულობს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე **ასრულებს საქმეს სუფთად, სწრაფად და გასაოცრად იაფად.**

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის შენობაში.

**მიიღებ ხელისმოწერა**, 14 ივლისიდან თბილისში იწყებს გამოსვლას ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო 2 კაპეიკიანი გაზეთი

## „ახალი აზრი“

შემდეგის პროგრამით: 1) სააგენტურო და საკუთარის კორესპონდენტების დეპეშები, 2) წერილები ლიტერატურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. სპეციალური წერილები. წერილები სახალხო კულტურისა და განათლების საკითხებზე. 3) ბელლეტრისტიკა—ამბავები, მოთხრობები და სხვა ნაწარმოებნი სიტყვა-კაზმული მწერლობისა, 4) ფელეტონები და პატარა ფელეტონები. 5) კორესპონდენციები. 6) პროვინციის ცხოვრება, 7) რუსეთში. 8) საზღვარ-გარეთ, 9) აკადემიური ცხოვრება. 10) თეატრალური ცხოვრება, 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვ. გაზეთის ფასი: ერთის წლით—4 მ. 1/2 წლით 2 მ. 3 თვით 1 მ. 25 კ. 1 თვით 45 კ. ცალკე ნომერი ყოველგან 2 კაპ. განცხადებათა ფასი ხელმისაწდომია: პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტისა 10 კაპ. მეოთხეზე 5 კ. შრომის მძებნელთათვის თვითო განცხადება 20 კ. სატრაურო განცხადება 1 მ. 50 კ. ერთხელ. საჭიროანი არიან კორრესპონდენტები და აგენტები დაბა-ქალაქებში. რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Тхинвальская ул. 9. № 7. Редакція газ. „Ахали азри“.

რედაქტორ-გამომცემელი თ. კეკელიძე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ქსნიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| [illegible] | დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.<br>მახსეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>აიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12 1/2—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე 11 1/2—12—1/2).<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12,<br>თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>სულხანოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხ.) 1—1 1/2.<br>ციქლაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12 1/2—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10 1/2—11.<br>დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.<br>ფონდოევი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | ბთენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12 1/2—1 1/2.<br>ტრემბოვსკი ნ. ხ. (ყოველ დღე) 2 1/2—3. |
| [illegible] | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2 1/2. |
| [illegible] | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 1—1 1/2. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშა გ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

ელექტრონ-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.